68 დევნილი ოჯახი გორში ახალაშენებულ კორპუსებში, ბინის მფლობელი გახდა.

08 აგვისტო 2021

იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ახალი ბინების გასაღები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ, დევნილთა სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერიან მჭედლიძემ გადასცეს.

ბოლო 8 წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, საცხოვრებელი 23 000-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა. 2021 წლის ბოლომდე, ახალ საცხოვრებელს, დამატებით 3000-მდე იძულებით გადაადგილებული ოჯახი მიიღებს.